



აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

სწავლება-სწავლის თანამედროვე სტრატეგიები
ხელოვნური ინტელექტის
ეპოქაში: პრობლემები და პერსპექტივები

პრეზენტაციის ავტორები: თამარ აბესაძე,
მარიამ ბაბუხაძია, ლიზი ბანდეჯატი.

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
პროფესორი ვასილ კიკუტაძე.



- **განათლება წარმოადგენს**
საზოგადოების ინტელექტუალური,
კულტურული და სოციალური
განვითარების ერთ-ერთ ფუნდამენტურ
საფუძველს.
- **თანამედროვე განათლების სისტემა**
მუდმივ ტრანსფორმაციას განიცდის,
რაც მეტწილად განპირობებულია
სწავლება-სწავლის პროცესში ციფრული
ტექნოლოგიების ინტეგრაციით.
- **ხელოვნური ინტელექტის სწრაფმა**
განვითარებამ და მისმა ინტენსიურმა
დანერგვამ საგანმანათლებლო სივრცეში
განსაკუთრებული აქტუალობა მიანიჭა
სწავლება-სწავლის პროცესის ახალი
სტრატეგიების დანერგვას.





საერთაშორისო კვლევები

- ხელოვნური ინტელექტის გამოყენება განათლებაში ინტენსიური კვლევის საგანია, რაც განპირობებულია მისი მზარდი გავლენით სწავლება-სწავლის პროცესზე.
- საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევებში ერთხმად აღინიშნება, რომ ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია სწავლება-სწავლის პროცესში მნიშვნელოვნად ცვლის სწავლების ორგანიზების ფორმებს და ქმნის ახალი პედაგოგიური შესაძლებლობებს.
- ხელოვნური ინტელექტი უნდა განიხილებოდეს როგორც სწავლება-სწავლის მხარდამჭერი საშუალება, რომლის ეფექტიანი დანერგვა დამოკიდებულია მის გააზრებულ და პასუხისმგებლიან გამოყენებაზე საგანმანათლებლო პრაქტიკაში.





➤ თანამედროვე სტრატეგიები კოლაბორაცია AI-სთან :

- **კოგნიტური სტრატეგია**-მოსწავლე ხელოვნურ ინტელექტს იყენებს ინფორმაციის მოძიების, სტრუქტურირებისა და ალტერნატიული განმარტებების მისაღებად.
- **მეტაკოგნიტური სტრატეგია**-მოსწავლე სწავლობს საკუთარი სწავლის დაგეგმვას, მონიტორინგსა და შეფასებას AI-ის მხარდაჭერით.
- **ემოციურ-მოტივაციური სტრატეგია**-ხელოვნური ინტელექტი უზრუნველყოფს დროულ, ინდივიდუალურად მორგებულ უკუკავშირს, რაც ამცირებს წარუმატებლობის შიშს და ზრდის მოტივაციას.
- **სოციალური სტრატეგია**-AI ხელს უწყობს ჯგუფური მუშაობის ორგანიზებას, როლების გადანაწილებასა და უკუკავშირის მიწოდებას.
- **რესურსებზე დაფუძნებული სტრატეგია**-მოსწავლე AI-ის დახმარებით არჩევს სანდო წყაროებს, მართავს სასწავლო დროს და ოპტიმალურად გეგმავს სამუშაო პროცესს.



გამოწვევები და საფრთხეები:

- ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია სწავლება-სწავლის თანამედროვე სტრატეგიებში, მიუხედავად მისი პოტენციალისა, არაერთ პრობლემასა და გამოწვევას აჩენს, რომლებიც განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება მაშინ, როდესაც ტრადიციული კოგნიტური, მეტაკოგნიტური, ემოციურ-მოტივაციური, სოციალური და რესურსებზე დაფუძნებული სტრატეგიები AI-ის მხარდაჭერით ხორციელდება.
- აღნიშნული სტრატეგიების გამოყენება ხელოვნური ინტელექტის დახმარებით ხშირად ქმნის ილუზიას, რომ სწავლების ხარისხი ავტომატურად იზრდება, თუმცა პრაქტიკაში ეს პროცესი მოითხოვს განსაკუთრებულ სიფრთხილესა და გააზრებულ მიდგომას.







- სხვა მნიშვნელოვანი გამოწვევები:
 - პლაგიატის პრობლემა AI-ის ეპოქაში.
 - ტექნოლოგიაზე ზედმეტი დამოკიდებულება.
- ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას სწავლება-სწავლის სტრატეგიებში თან ახლავს კომპლექსური გამოწვევები, რომლებიც მოითხოვს მკაფიო რეგულაციების, ეთიკური ჩარჩოების და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მექანიზმების ჩამოყალიბებას.
- მხოლოდ ამ პირობებში იქნება შესაძლებელი AI-ის გამოყენება როგორც საგანმანათლებლო პროცესის მხარდამჭერი ინსტრუმენტი და არა მისი ხარისხის შემამცირებელი ფაქტორი.




პერსპექტივები და შესაძლებლობები

- ხელოვნური ინტელექტის განვითარების პერსპექტივები განათლებაში ამჟამად განიხილება რამდენიმე კონკრეტული, ერთმანეთთან დაკავშირებული მიმართულებით, რომლებიც სცილდება ტექნოლოგიის მხოლოდ დამხმარე ფუნქციას და ეხება სწავლება-სწავლის პროცესის სტრუქტურულ გარდაქმნას.
- თანამედროვე კვლევები აჩვენებს, რომ აღნიშნული განვითარება ეფუძნება არა ერთიან მოდელს, არამედ განსხვავებულ პედაგოგიურ სცენარს, რომელიც მიზანმიმართულად პასუხობს კონკრეტულ საგანმანათლებლო საჭიროებებს.





- ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ინტელექტუალური სასწავლო აგენტები და რობოტ-მასწავლებლები, რომლებიც სამომავლოდ შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც სტრუქტურირებული ცოდნის მიწოდების, განმეორებითი სავარჯიშოებისა და ინდივიდუალურად მორგებული სწავლების უზრუნველსაყოფად.
- კვლევებში ხაზგასმულია, რომ რობოტ-მასწავლებლები განსაკუთრებით ეფექტიანი იქნება იმ სასწავლო პროცესებში, სადაც საჭიროა განმეორებითი სწავლა, თანმიმდევრული ინსტრუქცია და დაუყოვნებელი უკუკავშირი.
- განვითარების მეორე მნიშვნელოვანი მიმართულებაა ინკლუზიური განათლების გაძლიერება ხელოვნური ინტელექტის საშუალებით, განსაკუთრებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებისთვის.




- AI-ზე დაფუძნებული ტექნოლოგიები ფართოდ გამოიყენება აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლეებთან სოციალური და საკომუნიკაციო უნარების განვითარებისთვის, სადაც პროგნოზირებადი და ემოციურად ნეიტრალური ინტერაქცია ამცირებს შფოთვის და ზრდის ჩართულობას.
- ამ კონტექსტში AI ხელს უწყობს არა პრობლემის „დაფარვას“, არამედ სწავლის პროცესის ადაპტაციას მოსწავლის კოგნიტურ თავისებურებებზე. კვლევებში აღნიშნულია, რომ ასეთი სისტემები ეფექტიანია მაშინ მაშინ, როდესაც ისინი დაეხმარება მოსწავლეს გააცნობიეროს საკუთარი სწავლის სტრატეგიები და არა მზა პასუხების მიღებაში.
- ასევე განიხილება ჰიბრიდული სწავლების მოდელების განვითარება, სადაც ხელოვნური ინტელექტი ინტეგრირებულია როგორც საკლასო, ისე დისტანციურ სწავლაში.



- მომავალი განვითარების ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა სისტემური, სწავლების პროცესზე დამყარებული მიდგომები, რომლებსაც თან სჭირდებათ: ჰიბრიდული შეფასების მოდელები.
- დღევანდელი ყველაზე გავრცელებული სისტემები მოიცავს როგორც ტრადიციულ პლაგიატ-დეტექციის პლატფორმებს, ისე სპეციალიზირებულ AI დეტექციას: **Turnitin AI Detector , GPTZero , CopyLeaks, Smodin, Winston AI და სხვა.**
- ხელოვნური ინტელექტის ეფექტიანი გამოყენება განათლებაში შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ტექნოლოგია თანხვედრაში იქნება სწავლა-სწავლების მიზნებთან, შენარჩუნდება ადამიანის მასწავლებლის ცენტრალური როლი და უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლის შემეცნებითი ავტონომია.








აღმოსავლეთ ევროპის უნივერსტეტის ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტის სტუდენტების მიერ ჩატარებული კვლევა.

- კვლევის მიზანია სწავლება-სწავლის პროცესში ჩართული ძირითადი რგოლების : მოსწავლეების, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის, დამოკიდებულების შესწავლა ხელოვნური ინტელექტის მიმართ. კვლევა ასახავს იმას, თუ როგორ აღიქვამენ ისინი AI-ს, რა მიზნით იყენებენ მას სასწავლო და პროფესიულ საქმიანობაში და როგორ აფასებენ მის გავლენას სწავლება-სწავლის პროცესზე.
- კვლევის შედეგები იძლევა საშუალებას გამოიკვეთოს ხელოვნური ინტელექტის გამოყენების საერთო ტენდენციები და განსხვავებები განათლების სხვადასხვა საფეხურზე, რაც მნიშვნელოვანია მისი გააზრებული და პასუხისმგებლიანი ინტეგრაციისთვის საგანმანათლებლო პრაქტიკაში.


ცნობიერება ხელოვნური ინტელექტის შესახებ





მიზანი



პრობლემები



სამომავლო ხედვა





მადლობა ყურადღებისთვის

2026

